საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ .0 1921 წ. ხუთშაბათი მარტის 10

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულით მწუხარე ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს ძვირფასი და საყვარელი მეგობრის

ვანიჩკა (ივანე) იოსავას

კოჯორთან ბრძოლის ველზე დაღუპვას.

## ტფილისი, ხუთშაბათი მარტის 10

საქართველოში წითელი არმიის შემოსვლამ ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობა შექმნა ყოველი ქართველისათვის, მისთვის რომ ამ თავად მაინც, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი ასპარეზის გამონახვა და აღმშენებლობითი მუშაობა. ამ გარემოების აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიოს სათანადო ორგანოებმა და სახელმწიფო თუ საზოგადო დაწესებულებათ ხელმძღვანელებმა არ უნდა თანამშრომლენ ისეთი პირები, რომელთაც ყოველ შემთხვევაში არ შეუძლიათ დაღებითი მუშაობა აწარმოონ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობაში. ერთხელ უკვე დაწყებული საქმის გამოსწორება შემდეგში ძალიან ძნელი იქნება და ამიტომ აუცილებლად ეხლავე უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბევრი საპასუხისმგებლო ადგილებია დაცლილი და ყველგან საიმედო პირების ჩაყენება დასჭირდება, მაგრამ აჩქარებით რომ საქმე წახდეს უარესია. ქართველ ხალხს არავის აპეკუნობა არ დასჭირდება—ეს კარგად ვიცით და ამიტომ არ უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომელიც ბოლოს უკმაყოფილებასა და სიძულვილს გამოიწვევს. აუცილებლად საღი ელემენტები, ერთგული ჩვენი მშრომელ ხალხისა და მათ ჩავაბაროთ ყველა საპასუხისმგებლო პოსტები. დეე, ყველამ იცოდეს რომ დამოუკიდებელ სოციალისტურ საქართველოს ქართველი ერი პატრონობს.

## ფიქრები

ფურცელი № 6.

ამ ბოლო დროს ჩვენ ხელთ არის ცნობები, სოფლად საერთო უწესრიგობის შესახებ,-დღეს ყოველი გამვლელ-გამომვლელი მიდის გლეხთან და რასაც მოისურვებს მის შესრულებას სთხოვს

ჩვენთვის ყოვლად დაუშვებელია სოფლისთვის ანაბარა მიტოვება, უპატრონო სოფელს მყისვე უპასუხისმგებლო პირები დაეპატრონებიან; ისეთი ადამიანები, რომელნიც თავის მოქმედებაში არავის წინაშე პასუხს არ აგებენ.

დღეს კი სოფელი დაღლილ-დაქანცულია; იგი მოელოდა, მყუდროება დასვენება სწყურიან მას..

საჭიროა მან დღესვე იგრძნოს მთავრობის მზრუნველობითი ხელის აძუშავება მის და საერთო მცხოვრებთა სასარგებლოთ.

დღესვე [illegible] ბას თავისი ნამდვილი წარმომადგენ[illegible] უნდა ჰყავდეს სოფლათ, მისი პირით დაიცვას ყველაფერი, დაიცვას მშვიდობიანობა და შეასრულოს მისი განკარგულებანი.

ჩვენი სოფელი დაუყონებლივ უნდა გაიწმინდოს უპასუხისმგებლო და არა მკითხე ბატონებისაგან, მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა იცოდეს, რომ იგი არავის არ ეკუთვნის; სოფლის ბატონპატრონი თვით სოფელია.

სახელმწიფოებრივ მუშაობის დროს არც ერთი სახელმწიფოებრივი საკითხი არ მოითხოვს იმდენ გამჭრიახობას, უნარს, გამოცდილებას, როგორც სოფლის სათანადო მოწყობა. მის სასურველ პირობებში ჩაყენებისათვის მთავრობამ დიდი ძალა, ენერგია და გონიერება უნდა გამოიჩინოს...

მან დაუყონებლივ უნდა მიაწოდოს ხალხს თავისი აზრი და დადგენილება სოფლის ერთეულების ორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე უნდა მიაწოდოს სოფელს ინსტრუქცია რა წესით და საშუალებით შეეძლება მან დაიცვას თავისი უფლებები, ვისიმე უკანონო მოქმედების დროს.

გაძლიერებული, ღონიერ სოფელი გააძლიერებს სახელმწიფოებრივ აპარატს. უძლური და არეული კი დაუყონებლივ გაანადგურებს მას.

დათიკო ჭირვეიხელი.

## † ივანე იოსავა

მარტის 9-ს დასაფლავებულ ქართველ მეომართა შორის იყო ძვირფასი ამხანაგი ივანე იოსავა განსვენებული ერთგული წევრი იყო ჩვენი პარტიისა, მოყვარე თავის სამშობლოსი და თავის ხალხისა თავის პირად მთქმელობისა და უსამართლობის წინააღმდეგ შეუპოვრობის გამო მას ბევრი მტერი ჰყავდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მეგობარი.

და დღეს ეს მეგობრები გულდათუთქული და ცხარე ცრემლით დაჰტირით მის ასე უდროოდ დაღუპვას.

მშვიდობით ძვირფასო მეგობარო უკვდავი იქნება შენი ხსოვნა შენს ამხანაგებს შორის.

ერთი ამხანაგთაგანი.

## ახალი ამბები

— ოფიცერი კალისტრატე დავითულიანი მსახურობდა მე 7-დე ათასეულის ტყვიის მფრქვეველთა გუნდში ჯ კაცი სერგო როფაქიძე მე 5 თე ათასეულის მე 4-თხე გუნდში და კოლაპელიძე იმყოფებოდა მწერლთა 1-ლ გუნდის მე 5-თე ათასეულისა, პირველი მათგანში იყო სადახლოს ფრონტზე მეორე და მესამე სოფ. სანაინში, ვინც იცით რაიმე ზემო აღნიშნული პირებისა გთხოვთ უმორჩილესად გვაცნობოთ გაზეთ სოციალისტ-ფედერალისტის რედაქციაში მდივანთან.

— ახალი წიგნი. ვ. რუხაძის სტამბაში იბეჭდება და სულ მოკლე ხანში გამოვა ია. გართაგავას ვრცელი (120 გვერდიანი) კრიტიკული მიმოხილვა „ვეფხის ტყაოსანი" [illegible] გამოცემა ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა.

## გრუზროსტას ბიულეტენი № 11

ინსტრუქცია საბინაო კომიტეტებს.

ნარკომპროდთან არსებულმა განსაკუთრებულმა თათბირმა საბინაო კომიტეტის ორგანიზაციის საქმის გამო მარტის 6 მიიღო ინსტრუქცია საბინაო კომიტეტების შესახებ. ამ ინსტრუქციის თანახმად მთელი ქალაქის მცხოვრებნი უნდა შეერთდნენ საბინაო კომიტეტებში. საბინაო ორგანიზაციის წევრებად და ამ მიზნით ითვლებიან ყველანი სრული 17 წლისა, მცხოვრებნი ერთ სახლში ან, საბინაო ორგანიზაციის ერთ ერთ სახლში. საბინაო ორგანიზაციაში უნდა იყოს არა ნაკლები 10 ბინისა. ოჯახები, რომლებიც ერთ ბინაზე სახლობენ, მაგრამ თავისი ცალკე მეურნეობა აქვთ, ცალკე ოჯახად ითვლებიან. საბინაო ორგანიზაციის საქმეს განაგებს საბინაო კომიტეტი და საზოგადო კრება. საბინაო კომიტეტს ირჩევს საზოგადო კრება. კომიტეტს შეადგენს — თავმჯდომარე, მდივანი და ხაზინადარი. სახლის პატრონი და სახლის მოურავი საბინაო კომიტეტში არ აირჩევა. საზოგადო კრება უნდა მოხდეს ყოველ თვე. კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ დაესწრნენ შეერთებულ საბინაო კომიტეტის ბინების ნახევარი წარმომადგენელნი. თუ კვორუმი არ შესდგა, საზოგადო კრება კანონიერია, თუ დაესწრო წარმომადგენელთა ერთი მესამედი, მაგრამ არა ნაკლებ სამი კაცისა. ყველა გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს უბრალო ხმის უმეტესობით. ყოველი ხარჯი კაწეულ უნდა იქნეს საზოგადო კრების გადაწყვეტილების თანახმად. ამისთვის საჭირო თანხა უნდა შესდგეს წევრთა დაბეგვრის გზით. თვითეული საბინაო კომიტეტი ვალდებულია ჩაეწეროს რაიონის პროდბიუროში. საბინაო კომიტეტის მოვალეობას შეადგენს მიღება და განაწილება სახლის მცხოვრებთა შორის პროდუქტებისა, რომელიც მიეცემათ მცხოვრებთ. ანგარიშის წარმოება მჭამელთა რაოდენობის შესახებ თვითეულ სახლში საერთო სიით, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს ბინის №, გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა და სამსახურის ადგილი, აგრეთვე მიღება და დარიგება სასურსათო ბარათებისა.

ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის კომისარი ეჯიბია გრუზროსტის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქი, რომელიც წინად მოსკოვის და პეტროგრადისას არ ჩამოუვარდებოდა, სრულიად განადგურებულია ყოფილ მენშევიკურ მთავრობის განკარგულებით მორზის ყველა აპარატები წაიღეს და ხალხი ფაქტიურად უტელეგრაფოთ დარჩა. 120 მორზის აპარატიდან დარჩა მხოლოდ 6 და ამათგან ზოგიერთი დაზიანებულია. ამ ჟამად სასწრაფო ზომებს ვიღებთ ამ აპარატების შესაკეთებლად. ოლქთან არსებული სახელოსნო ყოველივე ღონისძიებას იღებს გაფუჭებულ და ძველ აპარატების რემონტისთვის. გაფუჭებულ აპარატებში, სხვათა შორის ნაპოვნია სწრაფ მომქმედი აპარატები, რომელთა შემწეობით შეიძლება კავშირის დაჭერა მოსკოვთან და პეტროგრადთან. ამ აპარატებსაც აგრეთვე ვაკეთებთ. შესაძლებელია ორი დღის შემდეგ მოსკოვთან და პეტროგრადთან ტელეგრაფის კავშირის გაბმა, რადგან მაგისტრალები სრულიად წესიერად არის და მხოლოდ აპარატების უქონლობა გვაბრკოლებს.

ამ ჟამად ტელეგრაფიო კავშირი გვაქვს ბაქოსთან, კავკასიასთან და პროვინციასთან: დუშეთთან და სამხედრო გზის სხვა ადგილებთან, გორთან, თელავთან და სხვ. ოლქის სამმართველო ფიქრობს ახლო ხანში მიმართოს რკინის გზის უწყებას თხოვნით ფოსტის მიმოსვლის მოწყობის დახმარებისთვის და ამ მიზნით ყველა აქილ ნ კასრულ მატარებელს, მათ შორის სპეციალურსაც ფოსტის ვაგონებს მოვაბამთ. თუ ეს განზრახვა განხორციელდა, მაშინ დაუყოვნებლივ დაიწყება მიღება უბრალო და დაზღვეულ კორესპონდენციისა რუსეთში, აზერბეიჯანში და სომხეთში.

უბრალო წერილები მიიღება უფასოდ, ხოლო დაზღვეულისთვის განზრახულია გადასახადის 1 მანეთი.

დეპეშების მიღება ჯერ-ჯერობით განსაზღვრულია ე. ი. შეიძლება მთავრობისა და სამხედრო ხასიათის ოფიციალური დეპეშების გაგზავნა.

ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობის აღდგენა სავსებით ერთობ ძნელია, რადგან ბევრი მოსამსახურე გაქცეულია. გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს სახელოსნოში განსაკუთრებით ტელეგრაფის და ტელეფონის აპარატების შესაკეთებლად. მაგრამ ამ დაბრკოლებათა მიუხედავად გამოვთქვამ რწმენას, რომ ახლო მომავალში ფოსტა-ტელეგრაფის ოლქი შესძლებს სავსებით ყველა თავისი ფუნქციების შესრულებას.

ტელეგრაფის პოლიტიკურ კომისრად დანიშნულია ბერიძე.

პროფესიონალური ცხოვრება. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კრება.

ამხ. დუმბაძის თავმჯდომარეობით შესდგა ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მუშამოსამსახურეთა საერთო კრება. არმიის წარმომადგენელმა პავლოვსკიმ კრებას სიტყვით მიმართა, სადაც მან აღნიშნა საბჭოთა რუსეთს არავისთან ომი არ სურდა და არც სურსთ იგი საქართველოში მოვიდა აჯანყებულ ხალხის სურვილად. მენშევიკურ მთავრობამ არ შეასრულა რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულობა. ორატორი შემდეგ ლაპარაკობდა წითელ არმიის მნიშვნელობაზე და საბჭოთა აღმშენებლობაზე საქართველოში. დუმბაძემ თავის სიტყვაში ყველა ქართველ პროლეტარს მოუწოდა ერთსულოვან მუშაობისკენ საქართველოს სოციალისტურ წესწყობილობის განსახორციელებლად. შემდეგ ილაპარაკა კულუმაშვილმა. ორატორმა ხაზი გაუსვა პროფ კავშირების მოქმედებას და აღნიშნა, რომ პროფეს. კავშირებმა ყურადღება უნდა მიაქციონ არა მარტო მუშათა ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებას, არამედ მათ ხელი უნდა შეუწყონ სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეები. შემდეგ მომენტის შესახებ ილაპარაკა სხვა ორატორებმაც, რომლის შემდეგ კრებამ ცენტრალურ დროებით კომიტეტის წევრთა კანდიდატურების სია გამოაქვეყნა. კომიტეტში შედიან: 8 კაცი კომუნისტი და 3 არა კომუნისტი. მოხსენების შემდეგ კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა: მოსკოვს, აზერბეიჯანს და სომხეთს.

ტრამვაის მუშათა შორის.

ქალ. ტრამვაის პროფ. მუშა მოსამსახურეთა გამგეობამ დაადგინა: მიეცეს 1 თებერვლიდან ჯამაგირები და აღადგინონ პურის მოწოდება იმ პირთ, ვინც დაპატიმრებული არიან პოლიტიკური დანაშაულობის გამო. მობილიზაციაში მოყოლილთ მიეცეთ ჯამაგირები 50 პროცენტი და მათ ოჯახის წევრებს კი ეძლეოდეს პური. იმ გვარდიელებს, რომელთაც თავი დაანებეს არმიას და თავის სამუშაოს დაუბრუნდნენ, ჯამაგირები მიეცეთ სრულიად. პური არ მიეცეს იმ გვარდიელების ოჯახის წევრებს, რომელთაც უკან დახეულ არმიასთან არიან. ვინც არ გამოცხადდა სამსახურში დროზე, მათ უნდა წარმოადგინონ მოწმობა იმის შესახებ, რომ ისინი არ ყოფილან გვარდიის არმიაში, ან ავადმყოფობის გამო დაუგვიანდათ სამსახურში გამოცხადება. ავადმყოფ გვარდიელების გვარების გამორკვევად, რომელნიც ამ ჟამად სამსახურში არ იმყოფებიან, დანიშნულია განსაკუთრებული კომისია.

უფასო პურის დარიგება.

გორპროდკომმა თხოვნით მიმართა ნარკომპროდს, რათა საჩქაროდ აცნობოს მას. ვის უნდა მიეცეს უფასოდ პური მუშათა მადიდის ორდერებით: მარტო მუშა მოსამსახურეებს, თუ ამის უფლება ეძლევათ აგრეთვე საავადმყოფოებს. თავშესაფარებს. საპყრობილეებს და სხ.

ხაზუქარი საქართველოს რევკომს.

11 მოლუპროდარში იუწყება, რომ ტფილისის საჯგუფზე 11 წითელ ლაშქრისაგან მოვიდა 33 ვაგონი ხორბალი საქართველოს რევკომის საჩუქრად. ხორბალი გადავა საქართველოს ნარკომპროდის განკარგულებაში ქ. ტფილისის ღარიბულ მცხოვრებთა და მუშათა შორის გასანაწილებლად.

პურის გამნაწილებელი პუნქტების გამრავლება.

გორეცკომმა მისწერა გორპროდკომს დაუყონებლივ გამრავლებულ იქნას რიცხვი პურის გამნაწილებელ პუნქტებისა.

ნავთის ნაწარმოები საქართველოსთვის.

ბაქო. 1—1. ტფილისი გაგზავნილია 200 ცისტერნი ნავთი. და გაცემულია სათანადო განკარგულება. რათა ნავთი რეგულიარულად იგზავნებოდეს საქართველოში სათბობ მასალით მის უზრუნველსაყოფად.

ბაქოში სურსათი მიდის.

ბაქო. 1—3. ჩრდილოეთიდან ბაქოში შემოდის სამარშრუტო მატარებლები სასურსათო ტრანსპორტი.

საშუშაო რუსეთში.

საინციატივო ჯგუფი რუს ამხანაგთა საყურადღებოდ აცხადებს, იმ პირთ. რომელსაც სურს გადასახლდეს რუსეთში, სარატოვისა და სამარის რაიონში, უნდა ჩაეწეროს ახლად ზემდგარ კოლექტივში ჩაწერა შეუძლიანთ მხოლოდ შრომის უნარის მქონეს, ფიზიკურად ჯანსაღს, არა უმეტეს 40 წლისას. ჩაწერა სწარმოებს ზუბალაშვილის სახალხო სახლში საღამოს 5—6 საათამდე.

ხელოვნება სახელმწიფო თეატრებში.

6 მარტიდან რევკომის ბრძანებით სახელმწიფო საოპერო თეატრის კომისრათ დაინიშნა ამხ. შ. ა. სარჯველიშვილი სახელმწიფო თეატრების დროებითი კომისარი ზარდალიშვილი დაინიშნა სახელმწიფო დრამის კომისრათ. ამხ. ზარდალიშვილს რევკომის მიერ დავალებული აქვს შეადგინოს თფილისში მყოფ მსახიობთა სია.

რევკომმა გადასცა სახელმწიფო თეატრების კომისარს 12 მილიონი მანეთი, სახელმწიფო თეატრების მუშა-მოსამსახურეთ თავის ჯამაგირის მისაცემათ.

ქართულ მუსიკალურ სასწავლებელში.

6 მარტს შესდგა ქართულ მუსიკალურ სასწავლებლის ყველა მასწავლებელთა და მოსამსახურეთა კრება. დირექტორათ ერთხმად დამოკიდებულია ღ. ი. არაყიშვილი, ინსპექტორად ი. აბაშიძე. ადგილობრივ კომიტეტში არჩეულია ი. ი. ტუსმერგე ა. ბ. სოლოხვერი და ი. ს. აბაშიძე. კრებაზე გადაწყვეტილია მოსწავლეთ დამატებითი მიღება მოსწავლე-

თა ყველა სპეციალურ საგნებში დასასრულ გადაწყვეტილია მოიწვიონ მასწავლებელათ შემდეგი პირნი.

8. წოვიანოვი, თუმანოვი, ივანისიანი, სტეპელი და ფლორინსკი. კრებამ დაადგინა დაუყოვნებლივ არჩეულ ადგილობრივ კომიტეტს გამოირკვიოს რევკომში გეგმა სასწავლებლის მომავალი მოქმედებისა

**სახელმწიფო თეატრში.**

ქართულ სახელმწიფო დრამის კომიტეტი შემდეგ პირთაგან შესდგება: თავმჯდომარე იტყობინება, რომ მოკლე დროში გადათვალიერებული იქნება რეპერტუარი. განზრახულია დაიდგეს ისტორიულ, კლასიკურ და რევოლიუციონურ ხასიათის პიესები. განზრახულია ახალი დადგმები ახალი დეკორაციებით.

**შტაბის და ლაშქრის ხაოპერაციო ცნობა**

თფილისი 7 მარტი 1921 წ. თოვლით დაფარულ მთის ორ ალაბიავ ბილიკებზე გმირულ გადასავლით, წითელი ლაშქრის № მამაცმა ნაწილებმა დაიკავეს სურამის უღელტეხილი გაიარეს რა ბნელი გვირაბი და დაიკავეს რა მის გამოსავალი, ლაშქრის ნაწილები ავიდნენ დაქანებულ თოვლიან ფერდობებზე, გაუჩიეს მოწინააღმდეგეს ჯავშნიანი ვაგონი და აიძულეს ის შიშით უკან დაეხია, რასაც შედეგათ მოჰყვა წითელ ნაწილების მიერ 20 საათ. 50 წუთს სოფლის და შედეგ სადგურ წ... ს დაპყრობა. აღფრთოვანებულ და გამხნევებულმა წითელ ჯარის მოახლოვებით ქალ. ბორჯომის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა სამხერხო ის მიწის ქარხნის და საგზაო სახელოსნოების მუშებმა ჩამოაგდეს ბურჟუაზიულ-მენშევიკური მთავრობა და შეადგინეს რა რევოლიუციონური კომიტეტი, სად. სამბათიდგ ს წარმოგზავნეს დელეგაცია თავის გამთავისუფლებელთა მისასალმებელთ.

მოწინააღმდეგე შიშით უკან იხევს და უიმედოთ სცდილობს თავის ნაწილების სრული დაშლისაგან იხსნას ზედაცლენის მოსახდენათ მიღებული ზომები ჯარის კაცთა წინააღმდეგ, რომლებიც უარს ამბობენ წითელ ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაზე.—3 მარტს ქართველ სარდლობის მიერ სურამში დახვრეტილ იქნა 26 ქართველი ჯარის კაცი წითელ ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარისთვის), არავითარი დადებითი შედეგებს არ იძლევა.

# ᲒᲠᲣᲙᲐᲕᲠᲝᲡᲢᲐᲡ ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲘ № 2

1921 წ. მარტის 9-ს.

**საუბარი ამხ. ორჯონიკიძესთან.**

კავკასიის ფრონტის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს და ც. კ. კომ. პარტიის წევრმა ამხ. ორჯონიკიძემ გრუკავროსტას თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

**მდგომარეობა ფრონტზე.**

მენშევიკური ლაშქარი არ არსებობს. ის წავიდ წამოვიდა თავიანთ სახლებში ხოლო დარჩენილი მცირედი ნაწილები ვერ უძლებს წითელ არმიის მედგარ წინსვლას. კონკრეტიულათ მდგომარეობა სხვა და სხვა ოპერატიულ მიმართულებით ასეთია:

ბათუმის მიმართულება: წითელ არმიის ნაწილებმა დაიკავეს სურამის ნაწილებმა დაიკავეს სურამის უღელტეხილი სადგურები წიფა და მოლითი უღელტეხილზ წარმოადგენს საძნელო და ბუნებრივათ გამაგრებულ პოზიციას, რომელიც ამ ჟამად დაფარულია ალაბ ნახევრიანი თოვლით ჩვენს ნაწილებს ქედის აღება მოუხდა უზარბაზნოთ და უტყვიისმფრქვეველებოთ, ვინაიდან მათი ქედზე ატანა შეუძლებელი იყო.

ახალციხის მიმართულება. სადამოს მარტის 7 მიღებულია ცნობები, რომ ჩვენმა ცხენოსანმა ნაწილებმა სიბლწიეს ბორჯომს, სადაც არ დახვედრიათ არავითარი მენშევიკური ჯარები.

**ქუთაისის მიმართულება.**

წითელმა არმიამ განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა: თებერვლის 25 ერთ მთავარ ნაწილებთაგანმა გადალახა მამისონის უღელტეხილი, რომელიც დაფარული იყო საჟენ ნახევრიანი თოვლით. 20 ვერსის მანძილზე მათ მოუხდათ ამ თოვლზე სიარული. უღელტეხილზე გადასულმა წითელ ლაშქარის ნაწილმა თითქმის უბრძოლველათ აიღო ონი, ამასთან მენშევიკური მთავრობის ჯარი გაიქცა საჩხერეს მიმართულებით. ამ ჟამათ ჩვენი ჯარი უახლოვდება საჩხერეს და ქუთაისს.

**ფოთის მიმართულება:**

სოხუმის ოლქში ბრძოლის ოპერაციები ჩვეულებრივ გამარჯვებით მიმდინარეობს. წითელი არმია შავი ზღვის ნაპირებზე წინ მოიწევს. სოხუმი დაკავებულ იქმნა უბრძოლველად ამ ჟამათ იერიში მიტანილია მდ. კოდორზე და წითელ არმიის ნაწილები მდ. ინგურს უახლოვდებიან.

**მცხოვრებთა განწყობილება ჯარებისადმი.**

მთელი აღმოსავლეთი საქართველო გაწმენდილია მენშევიკურ ჯარებისაგან, ამასთან გლეხების განწყობილება ჯარებისადმი ამართლებს ყველა ჩვენ მოსაზრებებს. გლეხობა ჩვენ ყოველმხრივ დახმარებას გვიწევს. ყველგან არსდება რევოლიუციონური კომიტეტები, დიდი სიხარულით სწერენ წითელ არმიაში მოხალისეთა ჩაწერა. თვით გლეხობა აპატიმრებს მენშევიკების ოფიცრებს და გზავნის რევოლიუციონურ კომიტეტში და წითელ ლაშქრის ნაწილებში. მაგალითად, თიანეთის მაზრაში დადის უმნიშვნელო ცხენოსანთა რაზმი რიცხვით 40 კაცი, მათ მოასწრეს ზარბაზნის, 9 ტყვიისმფრქვეველის და ათასი თოფების ხელში ჩაგდება. დუშეთის მაზრაზე სალაპარაკო არ შეიძლება, სადაც პირველ გაგებისათანავე წითელ არმიის წითელ არმიის წინსვლის შესახებ მთელი მაზრა დაიკავეს აჯანყებულებმა. გუშინ (მარტი 7) ბორჯომის რაიონიდან ჩამოვიდა დელეგაცია სომხეთიდან და გვაცნობა. რომ ბორჯომშიც არ არის არავითარი ჯარი დარსებულია რევოლიუციონარი კომიტეტი და ითხოვენ გაუგზავნოთ წითელი ლაშქრის ნაწილები. ასეთივე ცნობები მივიღეთ ახალქალაქიდან. აფხაზეთზე ლაპარაკიც ზედმეტია, იქ დაარსდა აფხაზეთის რევოლიუციონური კომიტეტი და ერთიანად აჯანყებულმა მცხოვრებლებმა დაარსეს თავიანთი მოხალისეთა წითელი რაზმები. რომლებმაც ზურგიდან შეუტიეს მენშევიკებს. სამურზაყანოში და სამეგრელოში წითელ ლაშქრის წინსვლას მცხოვრებლები დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან.

**რას იმედი აქვთ მენშევიკებს.**

რასაკვირველია, ანტანტის. გუშინ ჩვენ ტრაპიზონიდან მივიღეთ ცნობა, რომ უცხო სახელმწიფოების მისიები ტფილისიდან გაემგზავრნენ არა ქუთაის, არამედ ბათომს, სადაც ისინი ფიქრობენ დარჩენას იმ შემთხვევაში, თუ ანტანტა დაეხმარება მენშევიკებს. ყველაზე უფრო მოუთმენელი გამოდგა საფრანგეთის მისია და მან უკვე დასტოვა ბათომში და სტამბოლში გაემგზავრა. ეს იმას ნიშნავს, რომ ანტანტა ამ შემთხვევაშიც თავის თავს არ უღალატებს. მიუხედავად ყოველნაირ ყვირილის და ცლიარებისა, მას არ შეუძლიან აღმოუჩინოს მენშევიკურ მთავრობას რაიმე რეალური დახმარება.

მენშევიკებისათვის ისიც საუკეთესო საქმეა, თუ ანტანტამ გამოუგზავნა ერთი ნაწილი შავკანიანი ჯარისა, ანუ ვრანგელის ჯარი, მაგრამ ამას არავითარი არც ძალა და არც მნიშვნელობა არ ექნება.

**რათ მოვედით საქართველოში**

ასე აყენებენ საკითხს არა მარტო მცხოვრებლები: რომ მოვედით საქართველოში.

პირველი აქ მოვიდნენ არა შემპყრობელნი, არამედ საქართველოში ალიარებულ იქმნა დამოუკიდებელი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ქართულ რევკომის მეთაურობით. რაც შეეხება საქართველოს მუშათა და გლეხთა დახმარებას წითელი არმიის მხრივ, ეს ჩვენ სრულიათ ბუნებრივათ მიგვაჩნია. აქ არ იქნება ურიგო გავიხსენოთ, რომ მენშევიკების მთავრობას არა ერთხელ მიუმართავს დახმარებისათვის და მოუწვევია არა ერთი უცხოელი ჯარი. სამი წლის განმავლობაში საქართველოში იყვნენ გერმანელები, ოსმალები, ინგლისელები, ფრანგები, იტალიელები. ყველა ამათ ნოე ჟორდანიას და რამიშვილის მთავრობა ეგებებოდა დიდის პატივისცემით და ზეიმით. მაშასადამე ამ შემთხვევაში არა ითქმის რა უცხოელ ჯარის საქმეში ჩარევის შესახებ. ხოლო უწინ მენშევიკები ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ დახმარებას ჩრდილო ევროპის იმპერიალისტების მხრივ, იმ იმპერიალისტთა ჯარის მხრივ ვისიც ყმა მოსამსახურენი ყვნენ მენშევიკები, და ამ ჟამათ „საქართველოს კომუნისტებმა ჰპოვეს ძველი დახმარება რუსეთის მუშა-გლეხის ჯარისაგან, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული მხოლოდ განთავისუფლება საქართველოს მუშა-გლეხთა და შექმნა ნამდვილი დამოუკიდებელი მუშა-გლეხის საქართველოსი და არა ანტანტის ბრჭყალებში მყოფ საქართველოსი.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ

**ვრანგელის ლაშქრის ბედი.**

**მოსკოვი.** (რადიო) ბრაზილიის მთავრობამ წინადადება მისცა ვრანგელს უფასოდ გადაიყვანოს სამხრეთ ამერიკაში მისი ლაშქრის 10 000 ჯარისკაცი ყავის ახალი პლანტაციებზე სამუშაო.

**ჩვენი ვაჭრობა.**

**მოსკოვი.** ბლოკადის სეზონის შემდეგ ჩვენ მოგვეცა საშუალება მოგვეხდინა სავაჭრო შეთანხმება ყველა ქვეყნების კომერსანტებთან, მაგრამ მაშინ საქონლის ბლოკადის მაგიერ, თავი იჩინა რუსეთის ოქროს ბლოკადამ, რომელიც ამ ჟამად გრძელდება. ამისდა მიუხედავად ჩვენ გადავდგით წინ დიდი ნაბიჯი; ეხლა ჩვენ თითქმის ყველგან გვყავს სავაჭრო აგენტები.

# ᲖᲐᲙᲐᲕᲙᲐᲕᲠᲝᲡᲢᲐᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

**ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომა.**

**ბაქო.** მარტის 1. თებერვლის 27-ს ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომა შესდგა. ამხ. ნარიმანოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც შემდეგი აღნიშნა: ტფილისის ქართველ მენშევიკების სატახტო ქალაქი, დღემდის წარმოადგენდა ამიერკავკასიის ბანდების სატახტო ქალაქს. ეხლა ტფილისში აფრიალებულია პროლეტარულ რევოლიუციის წითელი დროშა. მაგრამ ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. დახმარება საბჭოთა საქართველოს—აი ჩვენი დღევანდელი ლოზუნგი. საქართველოს მუშათა და გლეხთა ნებაყოფლობით ჩამოგდებულია ძირს მენშევიკების მართველობა მთელ საქართველოში. მუშები და გლეხები აჯანყდნენ. ტფილისი მთელ ამიერკავკასიის წითელ სატახტო ქალაქად გარდაიქცევა. შემდეგ ნარიმანოვმა განაცხადა, რომ აზრევკომის სასწრაფო სხდომაზე დადგენილი იყო ამხ. სერგო ორჯონიკიძეს წითელი დროშის ორდენი მიეძღვნას. შემდეგ ლაპარაკობს ამხ. ელიავა: „ქართველი მენშევიკები, ამბობს იგი, როგორც გადმოგვცემდნენ ჯესახავდნენ ჩვენ მიეცებად. ტყვეთ ჩავარდნილებმა გვიამბეს, რომ აქ გლეხები და მუშები აწარმოებენ თავიანთ ქვეყნის საქმეებს და თავისუფალნი არიან ყველანი". დასასრულ ლაპარაკობს ამხ. ეგოროვი. იგი აღნიშნავს: საქართველოში დამყარებულ საბჭოთა მართველობა ჩვენ უზრუნველგვყოფს ზურგის საფრთხისაგან და მოგვცემს საშუალებას სამეურნეო დარგის გასაუმჯობესებლად. ამიერკავკასიის მშრომელი მასა ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პარტიების წყალობით მოწყვეტილი იყო არამც თუ მარტო უფროს თვის ძმებ რუსებთან, არამედ ამიერკავკასიის ფარგლებშიაც ჩამოცილებული იდგა, მაგრამ დროებით კონტრრევოლიუციონური გამარჯვება ხანგრძლივი ვერ იქნებოდა და ბოლოს გაიღვიძა საერთო ინტერესებმა. საქართველო ამიერკავკასიის კონტრ-რევოლიუციის ბუდე იყო. ამ ჟამად ეს კონტრ-რევოლიუცია გაცამტვერებულია ერთის დარტყმით. ბაქოს საბჭო სალამს უძღვნის საქართველოს განთავისუფლებულ გლეხებს და მუშებს. ბაქოს პროლეტარიატი ამასთანვე საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ყოველივე დახმარებას აღმოუჩენს გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს საბჭოთა ამიერკავკასიას!

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

(გრუკავროსტას ცნობები).

მარტის 8,

**ანგორა და კონსტანტინოპოლი.**

**ბერლინი.** ოსმალეთისა და დიდი ნაციონალური ყრილობის დელეგატების მიერ მიღწეულია შეთანხმება შემდეგ კითხვებში: 1) გადაწყვეტილია იცნონ ოსმალეთის უფლებანი დარდანელზე და კონსტანტინოპოლზე, აგრეთვე დარდანელი დარჩეს მის კონტროლის ქვეშ, თუ შეერთებული შტატებიც მიიღებენ მონაწილეობას საკონტროლო კომისიაში. 2) გადაწყვეტილია დაჟინებით მოითხოვონ, რათა ოსმალეთის სუვერენული უფლებები იქმნას ცნობილი სმირნასა ურფასა და აინტაბომსე. 3) ბულგარია მიიღებს ნავთსადგურს ეგიეს ზღვაზე. 4) ოსმალეთის უმცირესობას ჩამოშორებულ ოლქებში უნდა მიეცეს უფლებრივი გარანტიები. 5) მოკავშირეებმა უნდა აღმოუჩინონ ოსმალეთს ფინანსიური დახმარება. 6) უნდა მოხდეს რეორგანიზაცია ოსმალეთის მმართველობისა.

**ქემალისტები და რუსეთის ბოლშევიზმი.**

**სტამბოლი.** ქემალისტთა დეპუტაცია აღნიშნავს, რომ რუსეთის რევოლიუციის მგზავსი არ მომხდარა არც ერთ საუკუნესა და არც ერთ სახელმწიფოში. ეს რევოლიუცია განირჩევა თავისი ცვალცვლოვან ელვარებით, რომელიც დაბადებულია გამოფხიზლებულ ხალხის სულში. მან სასურველათ მოაგვარა მიწის საკითხი. სამწუხაროთ ოსმალეთში უკანასკნელ ხანამდი არ იყო არამც თუ რევოლიუციონური, არამედ ეროვნული ლიტერატურაც კი მიწის საკითხს ისეთი გამწვავებული სახე არა აქვს მიღებული, რომ ამ საკითხით შეიძლებოდეს ძლიერი ბოლშევიკური რევოლიუციის მოხდენა· ამიტომაც ანატოლია რუსეთის კომუნიზმს ყველაფერში ვერ მიბაძავს, მაგრამ ამ კომუნიზმის იდეებით კი უნდა იხელმძღვანელოს და უნდა მიიღოს ის როგორც უმაღლესი და თავისი იდეალი.

**აღმოსავლეთის ქალთა ემანსიპაცია.**

**სტამბოლი.** ანგორაში შესდგა ოსმალეთის ქალთა ორგანიზაცია, რომელიც იმუშავებს აღმოსავლეთის ქალთა ემანსიპაციისათვის.

**გერმანიის პროლეტარიატის ხმა.**

**მოსკოვი.** 8—3. (რადიო) ლონდონის კონფერენციის იმ გადაწყვეტილებათა გამო, რომელიც გერმანიას ახალი მძიმე მოთხოვნილებას უყენებს გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც მოუწოდებს გერმანიის პროლეტარიატს გამართოს დემონსტრაცია ლოზუნგით: ძირს უცხოელთა და შინაურთა ექსპლოატატორების უღელი, გაუმარჯოს კომუნისტურ მთავრობას, გაუმარჯოს მუშათა კლასის უფლებას. გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთთან კავშირს.

**რევოლიუციონური მოძრაობა იტალიაში.**

**მოსკოვი.** 8—3. (რადიო) კალაბრიაში გლეხთა აჯანყებამ იჩინა თავი. საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების გამო სამხრეთ იტალია ჩრდილოეთ იტალიას მოწყვეტილია. ტოსკანში მთავრობის ჯარებთან მთელი რიგი შეტაკებები მოხდა, ბევრია მოკლული და დაჭრილი მოელიან მთელ იტალიაში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას.

**ნაუენი.** 8-III. (რადიო) შაბათის სხდომაზე რეიხსტაგმა მხარი დაუჭირა გერმანიის დელეგატებს ლონდონში და გადასწყვიტა პირველ რიგში მორალური დახმარება აღმოუჩინოს სიმონსს, რომელმაც აქედან უნდა გამოიყვანოს დასკვნა, შესაფერი კონკრეტიულ პოლიტიკურ დებულებებისა და საერთო კონიუნქტურისა, არა სასურველ კრიტიკის მზადყოფნაში მიუღებლად. ამავე დროს ბერლინში ხდებოდა მთავრობისა და აგრეთვე პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროების განუწყვეტელი სხდომები კვირა საღამოს სიმონსს მტკიცე კავშირი ჰქონდა ანტანტის წარმომადგენლებთან. ლოიდ ჯორჯი, ბრიანი და ანტანტის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი თავის განზრახვის წინააღმდეგ, რჩებიან ლონდონში. დღემდის შეუძლებელია ანტანტისა და გერმანიის შორის შეთანხმების გზების პოვნა გერმანიის წინადადების შესახებ. პროგრამის სრულ განხორციელების საკითხს ადგილი არ აქვს და გერმანული ... ნაწილობრივ შეთანხმებას მაინც ამ საკითხის გამო, გერმანიის წინადადება არ უნდა შეიცვალოს ეკონომიურ მიზეზების გამო, პრინციპ „ბონაფიდეს" დაურღვევლად. ბრიანი კი აცხადებს, რომ პარიზის მოთხოვნილებანი არ შეიძლება შეცვლილი იქმნან პოლიტიკურ მიზეზების გამო.

**მდგომარეობა ტრიესტში.**

**პარიზი.** „ეკრცელოსნერის" რომის კორესპოდენტის ცნობით ნაციონალისტებისა და კომუნისტების შორის კონფლიქტმა ტრიესტში უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო, ვიდრე იტალიის სხვა ქალაქებში. ნაციონალისტებმა გადასწყვიტეს მოახდინონ საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაზ. „ლაკონტორე"-ს ბინის წინ, რომელიც (გაზეთი) არის სოციალისტების ყოფილი ორგანო. ამის შემდეგ პოლიციამ შემოერტყა რედაქციის შენობას კარაბინერებით და მეფის გვარდიელებით. მაგრამ ნაცნალისტებმა გაარღვიეს მათი წრე და რედაქციის კარებამდე მივიდნენ. ამის პასუხათ რედაქციის ფანჯრებიდან დაიწყეს სროლა. ამის შემდეგ რედაქციაში შევიდა პოლიცია რომელმაც დააპატიმრა რედაქციის თანამშრომელნი და ასით ამწყობნი, სულ 20 კაცი, რომელთა შორის არის კომუნისტების ერთი მეთაურთაგანი ტუმტარა. ქალაქში დიდი ღელვაა. ქუჩებში პატრულები დადიან. კომუნისტებს აპატიმრებენ.

**მდგომარეობა იტალიაში.**

**ტურინი.** პოლიციამ აღმოაჩინა კომუნისტების იარაღის ქარხანა, ქარხანაში მზადდებოდა ტყვიისმფრქვეველები, რომელთაგან ზოგი პოლიციამ ჩაიგდო ხელში. ქარხნის ხელმძღვანელებმა და მუშების უმრავლესობამ დამალვა მოასწრეს.

**იტალიის პრესა ინგლისის პოლიტიკის შესახებ.**

**რომი:** „პოპოლო რომანსს" ინგლისის პოლიტიკის შესახებ სწერს: ინგლისის პოლიტიკა ოსმალეთის მიმართ რაღაც შერყევია. ინგლისის პოლიტიკის მიზანი აღმოსავლეთში ერთია: გადაულობოს გზა ინდოეთისკენ და სპარსეთის სრუტისკენ ყველა სახელმწიფოს. შექმნას აუცილებელი ბარიერი რუსეთი და ხმელთა შუა ზღვის შორის და დაიკავოს სუეცის არხი და დარდანელი.

**რევოლიუციონური მოძრაობა ისპანიაში.**

**პარიზი:** „კორკიდან" იუწყებიან, რომ სივილიაში დაჭერილია 75 სინდიკალისტი, რომელთაც აბრალებენ სიცილიაში მომხდარ კომუნისტურ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებას.

**რეპრესიები ირლანდიაში.**

**ლონდონი.** კორკიდან იუწყებიან, რომ კილტილაში არეულობის გამო დასწვეს საცხოვრებელი სახლი. აღნიშნულ სახლთან ჯარი 6 საბარგო ავტომობილით მოვიდა. სახლში მცხოვრებლებს 5 წუთის ვადა მისცეს საჭირო ნივთების გადასატანათ, შემდეგ დარჩენილ ნივთებს ნავთი გადაასხეს და დასწვეს. დაწვის დროს მოაგროვეს ქალაქის 100 მცხოვრები, მოიყვანეს იმ სახლთან რომელიც იწოდა და გააჩერეს სანამ სახლი მთლად არ დაიწვა.

კორკიდან იუწყებიან, რომ მუნციპალურ საბჭოების 9 წევრი, რომელიც ხელახლა იქნა არჩეული, დააპატიმრეს.

დუბლინიდან მოსული ცნობით მღვდელ დომინიკს, რომელმაც შიმშილისაგან გარდაიცვალა ქალაქ კორკის წრის ზიარება მიაღებია, ტრიბუნალმა მიუსაჯა 5 წლის ციხე შურის მიერ გადმოცემულ საყურადღებო ქაღალდების დამალვისათვის. უმაღლესმა ინსტანციამ სასჯელი შეუმსუბუქა ორი წლის ციხით. დომინიკი განჩინების შემდეგ ინგლისში წაიყვანეს.

**გორრევკომის დადგენილება.**

გორრევკომის დადგენილებით სასტიკათ ეკრძალებათ ყველას საშინაო ნივთების ერთ სახლიდან მეორეში გადატანა.

---

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.

სტამბა „სახალხო საქმე" კალოუბნის ქუჩა № 14.